პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და სსრ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ПАРასი ᲙᲝᲞᲘ
6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
1941 წ.
№ 131 (6136)
ფასი 15 კაპ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲐᲮᲐᲚ ᲡᲔᲡᲮᲖᲔ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲐᲒᲙᲘᲪᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲛ!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲒᲖᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის უბნის მატარებლების კონტროლორებმა დამშთავრეს ხელმოწერა. ხელმოწერის თანხა 50.650 მანეთის შეადგენს.

○

თბილისის საშაქარლამი ფაბრიკაში პირველ ორ დღეს სესხზე ხელი მოაწერეს 53.640 მანეთის რაოდენობით.

ხელმოწერა გრძელდება.

○

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში 3 ივნისს დამთავრდა სესხზე ხელის მოწერა. ხელმოწერის თანხა 29.065 მანეთს შეადგენს.

○

თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკაში 5 ივნისს დამთავრდა სესხზე ხელის მოწერა. ხელმოწერის თანხა 49.105 მანეთს შეადგენს.

○

თბილისის სახელმწიფო ფიზიკულტურის ინსტიტუტში პირველ ორ დღეს სესხზე ხელი მოაწერეს 50.000 მანეთის რაოდენობით.

○

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 3 ივნისს 4 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა 333.335 მანეთს შეადგენდა.

○

თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონში 4 ივნისის ღამის 10 საათისათვის სესხზე ხელი მოაწერა 19.771 კაცმა 5.410.745 მანეთის რაოდენობით.

○

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში 5 ივნისისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 1.022 კაცს 286.070 მანეთის რაოდენობით.

○

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 4 ივნისისათვის ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 164 კაცს 103.650 მანეთის რაოდენობით. აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა სესხზე ხელი მოაწერა 4.250 მანეთის რაოდენობით, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ — 3.200 მან., აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ — 3.000 მან., აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა — 3.000 მანეთის რაოდენობით. მათ სესხზე მოწერილი აქვთ ხელი აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში.

○

თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტის სამმართველოს და ბაზების თანამშრომლებმა — 359 კაცმა — ახალ სესხზე ხელი მოაწერეს 133.375 მანეთის რაოდენობით. თითქმის ყველას ხელი მოწერილი აქვს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, ზოგს მეტზეც.

○

თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში 5 ივნისის 12 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა 1.031.081 მანეთს შეადგენდა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაკებმა 5 ივნისისათვის სესხზე ხელის მოწერა დაამთავრეს. აქ სესხზე ხელის მოწერის თანხა 101.765 მანეთს შეადგენს. არ დარჩენილა არცერთი მუშაკი, რომელსაც სესხზე ხელი არ მოეწერა. თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. ღამბაშიძემ ხელი მოაწერა 3.500 მანეთის სესხზე, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტის. ტებმა: ვ. გომიაშვილმა — 1.500 მან., ვ. ანჯაფარიძემ — 1.700 მან., თ. ჭავჭავაძემ — 1.500 მან., ა. ყორეოლიანმა — 1.300 მან., რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა — 1.750 მანეთის რაოდენობით.

ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ („კომუნისტის“ კორ.). ქედის რაიონში სესხზე ხელის მოწერა 3 ივნისს საღამოს 10 საათისათვის დაამთავრა 13 და ბათუმის რაიონში — 3 კოლმეურნეობამ.

კოლმეურნეობებში გავრცელებული სესხის თანხიდან ნაღდ ფულად სალაროში შეტანილია 17 ათასი მანეთი.

○

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ, 5 ივნისი (საქდესი). სამი დღის განმავლობაში (4 ივნისს, საღამოს 8 საათისათვის) ახალ სესხზე ხელის მოწერის თანხამ 2.546.000 მანეთს მიაღწია. ეს თანხა 458 ათასი მანეთით აღემატება სესხის კამპანიის პირველი სამი დღის განმავლობაში შარშან მიღებულ ხელის მოწერის თანხას.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ, 5 ივნისი (საქდესი). დღეს წარმატებით ტარდება ახალ სესხზე ხელისმოწერა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. 4 ივნისს, საღამოს 6 საათისათვის ხელის მოწერის თანხამ 2.754 ათას მანეთს მიაღწია. მარტო სტალინირში იმავე დროისათვის რეალიზებულია 1.055 ათასი მანეთის ახალი სესხი. ლენინგორის რაიონის კოლმეურნეებმა შემნახველ სალაროში ნაღდად შეიტანეს 27 ათასი მანეთი.

○

ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონში 4 ივნისს დღის 12 საათისათვის ხელმოწერის თანხამ 2.711.000 მანეთს მიაღწია. ეს ციფრი ორჯერ აჭარბებს შარშან ამავე პერიოდისათვის ხელმოწერილ თანხას.

○

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ („კომუნისტის“ კორ.). 4 ივნისს დღის 12 საათისათვის დაბა მცხეთაში ხელმოწერის თანხა შეადგენდა 605.000 მანეთი, ხოლო სოფლად 45.000 მანეთს. სოფ. ერედვის ვორონოლოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. ზაქაიძემ ხელი მოაწერა 1.000 მანეთის სესხზე და თანხა მაშინვე შეიტანა. სოფ. ძალისის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. მუხრანელმა სესხზე ხელი მოაწერა 1.000 მანეთის რაოდენობით და 500 მანეთი იქვე შეიტანა. ასევე, სოფ. გალავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. ამირხანაშვილმა ხელი მოაწერა 500 მანეთის სესხზე და 200 მანეთი უკვე დაფარა.

ხელმოწერა გრძელდება.

თელავის აბრეშუმ-ძაფსაქსოვი ფაბრიკაში ახალ სესხზე ხელმოწერა წარმატებით ჩატარდა. სურათზე: ფაბრიკის სტახანოველები და მოწინავენი ხელს აწერენ ახალ სესხზე.

ფოტო ი. ტორნისა (საქფოტოს ფოტოკ. რონინა).

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡ — ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲥᲐᲜᲔᲑᲐ

საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციამ კიდევ უფრო ფართო გაქანება მისცა ბოლშევიკურ აგიტაციას. დიდია მისი მნიშვნელობა მშრომელთა ფართო მასების დარაზმვის საქმეში, XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში. აგიტატორი მთელი მონდომებით და ენერგიით უნდა ასრულებდეს დაკისრებულ საპატიო მოვალეობას, იგი უნდა იყოს პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა მგზნებარე პრაპაგანდისტი, მათი ცხოვრებაში გატარებისათვის დაუღალავი მებრძოლი.

XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს კ. პ. (ბ) ორგანიზაციებმა ბაზებში თვალსაჩინო მასობრივი-პოლიტიკური შუშაობა გააჩაღეს, გააუმჯობესეს საწარმოო პროპაგანდა და აგიტაცია. ჩვენს საწარმოებში, რკინიგზებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მძლავრად გაისმის ბოლშევიკური აგიტატორის მგზნებარე სიტყვები.

პარტკონფერენციის შემდეგ საქართველოს მთელ რიგ რაიონში ჩატარდა აგიტატორთა რაიონული თათბირები, რომლებზეც ახალ ამოცანებთან დაკავშირებით იხილავდნენ პოლიტიკური აგიტაციის საკითხებს, უზიარებდნენ ერთმანეთს იმ დარგში დაგროვილ გამოცდილებას. პარტიის ბერმა რაკომმა (სპეციალურად აგიტატორებისათვის მოაწყო მთელი სერია ლექციებისა წარმოების ეკონომიკის საკითხებზე.

ამასწინათ სამ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას და კიროვის სახელობის რაკომებმა ჩაატარეს აგიტატორთა რაიონული თათბირები XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საგაგიტაციო-მასობრივი შუშაობის გარდაქმნის საკითხებზე. ამ თათბირებზე ბევრი რამ საგულისხმო გამოირკვა, ბევრი რამ საინტერესო ითქვა. თეთბირებმა აგიტატორთა ყურადღება გაამახვილეს მათს უდიდეს როლზე მასების დარაზმვის საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაკომმა ა. წ. 5 მარტს მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების აგიტატორებისათვის მოაწყო 5-დღიანი კურსები, სადაც წაკითხულ იქნა ლექციები აქტუალურ საკითხებზე: „შუშაობა გრაფიკის მეხეედით“, „ტექნოლოგიური დისციპლინის შესახებ“, „როგორ შეიძლება თვითღირებულების შემცირება“ და სხვ. კურსების წარმატებით ჩატარდა.

საგაგიტაციო - მასობრივმა შუშაობამ განსაკუთრებით ფართო გასაქანი ჰპოვა XVIII პარტკონფერენციის შემდეგ. ბევრი საუკეთესო აგიტატორი ცოცხლად, მიმზიდველად ატარებს საუბარს, არა მარტო ესაუბრება, უხსნის, აჩვენებს მასებს, არამედ თვითონ იძლევა კარგი საწარმოო შუშაობის მაგალითს. ასეთი აგიტატორის სიტყვა და საქმე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

მაგრამ ყველა აგიტატორის მიერ ჩატარებული საუბარი როდი აკმაყოფილებს წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს. ზოგი აგიტატორი ვერ ახერხებს გახდეს აგიტაციისა ქმედითი და შეტევითი, ადგილობრივი საწარმოს ცხოვრების ფაქტებს ვერ უკავშირებს პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს.

ამგვარად ჩატარებული აგიტაციისა ზოგადი, არაკონკრეტული, ნაკლებად დამაჯერებელია.

საგაგიტაციო - მასობრივ შუშაობას ყველგან როდი ექცევა საჭირო ყურადღება. არიან ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებსაც პარტიულ-პოლიტიკური შუშაობის ესოდენ მნიშვნელოვანი უმანი მატოვებული აქვთ აგიტაციელექტიკვებს და აგიტატორების ინაბარად, ხოლო ზოგჯერ ეს საქმე თვითდინებით მიმდინარეობს, მას კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ უწევენ.

საქსახპროეკტში საგაგიტაციო-მასობრივი შუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ამის გამო, რომ ამ დაწესებულებასთან არსებული პარტბიუროს მდივანი ამხ. გაკუა არსებითად ვერ ხელმძღვანელობს პოლიტიკური აგიტაციას, საგაგიტაციო შუშაობა თვითდინებით მიმდინარეობს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ მარტი ის ფაქტი, რომ პარტბიუროს 1941 წლის გამნავლობაში არ მოუსმენია არც აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის და არც რომელიმე აგიტატორის მოხსენება. მეტიც. ამ ორგანიზაციაში არიან ისეთი აგიტატორები, რომლებმაც საკუთარ შესაბამისი საგაგიტაციო შუშაობა. სწორად მოიქცა საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი, თავისი ბიუროს სხდომაზე სპეციალური მსჯელობის საგნად რომ გახადა აღნიშნულ ორგანიზაციაში საგაგიტაციო-მასობრივი შუშაობის საკითხი.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ჩვენი აგიტატორი თავისი ფაბრიკის, საამქროს, ბრიგადის საკითხებს არ უკავშირებს მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ აქტუალურ საშეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს. ბოლშევიკური აგიტაცია უნდა ატარებდეს მებრძოლ, შეტევიან, ქმედითს ხასიათს.

როდესაც თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის აგიტატორი ამხ. ხვთისაშვილი ატარებდა საუბარს საკავშირო პროფსაბჭოს XI პლენუმის მასალებზე, მან განაცხადა: „ჩვენთან საამქროში ისეთსავე ნაკლოვანებებს აქვს ადგილი“, კონკრეტულად კი არ დასახელა, რა ნაკლოვანებებია, ვინ არის კონკრეტული დამნაშავე და სხვ. ცხადია, ამგვარად ჩატარებული აგიტაცია ვერ მოგვცემს საჭირო ეფექტს.

ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად არ ხელმძღვანელობს პოლიტიკური აგიტაციის, საჭირო დაბმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევს აგიტატორებს, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებს. პოლიტიკური აგიტაციისადმი ასეთ მიდგომას გადაჭრით უნდა მოეთოს ბოლო.

საგაგიტაციო - მასობრივი შუშაობის შინაარსი, მისი იდეურ-პოლიტიკური მიმართულება, აგიტაციის ქმედითობა ყოველთვის უნდა იდგეს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

პოლიტიკური აგიტაციის ახალ, მაღალ საფეხურზე აყვანა, მისი კონკრეტულად, ქმედითად და შეტევითად გადაქცევა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების შუენელებელ, ყოველდღიურ შუშაობას.

335 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲙᲚᲐᲜᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲔᲜᲐ

4 ივნისს, დილით, ტუშინოს აეროდრომიდან აფრინდა თვითმფრინავი, რომელსაც ბუქსირზე ჰყავდა პლანერი „როტ-ფრონტ-7“. მსუბუქ უმოტორო სპორტ აპარატს საბჭოთა პლანერიზმის ოსტატი ამხ. მ. რომანოვი მართავდა. სპეციალ მატარებელი დიდ რკალს აკეთებდა აეროდრომის თავზე და მტკიცედ მიფრინავდა მაღლა-მაღლა. დედამიწიდან 1400-მდე მეტრზე პლანერი მობუქსირე თვითმფრინავს მოეხსნა. პლანერისტი ღრუბლებში ოსტატური ფრენით სწრაფად მიდიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და მალე თვალთაგან მიეფარა.

სალამის სსრ კავშირის ვ. ჩკალოვის სახელობის აეროკლუბმა ცნობა მიიღო, რომ „როტ-ფრონტ-7“, რომელსაც ამხ. მ. რომანოვი მართავდა, რიაზანის ოლქის მაცკის რაიონის სოფელ კუპნის ახლოს დაეშვა. მ. რომანოვი ერთობ რთულ ვითარებაში ფრინავდა, რაც ხელს არ უწყობდა აღმფრენას. მ. რომანოვს პლანერი რამდენიმე საათის განმავლობაში მიმყავდა ღრუბლებში და ღრუბლებს ქვეშ, რომლებიც თითქმის მთლიანად ფარავდა ცას, მაგრამ მან მაინც შესძლო ოსტატურად, ძირდაუშვებლად პირდაპირი ხაზით გაეფრინა 335 კილომეტრი. (საკდესი).

ᲘᲐ. ᲜᲐᲓᲐᲕᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲣᲦᲝᲑᲘ ᲨᲔᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ

ვორონეჟის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში შეგროვებულია მრავალი ექსპონატი რუსეთის სამხედრო ფლოტის ისტორიიდან.

აქ ბევრი რამ მოგვაგონებს პეტრეს იმ ფლოტილის მშენებლობის ისტორიას, რომლის შექმნიმთავაც ალებულ იქნა ოფიციალური მდინარის მარცხენა ნაპირზე დღემდე სდგას საკაბადოროს (ლიგაპაუსის) მასივური შენობა. ტავრის უბანში შემონახულია საცხოვრებელი მიწურებისა და პეტრე I მიერ 1695 წელს შექმნილი გემსაშენების ნაშთები.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი ამზადებს ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარების ისტორიისადმი მიძღვნილ გამოფენას. (საკდესი).

14 ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲯᲘ ᲪᲕᲚᲘᲗ

3 ივნისს გორლოვკაში № 19-20 შახტის წარჩინებულმა მნარეველმა ამხ. გოლუბცოვმა შესანიშნავი საწარმოო რეკორდი დაამყარა. მან 260 ტონა ქვანახშირი მოანგრია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მთელი უბნის სადღეღამისო დავალებას. ცვლის ნორმა შესრულებულია 1.430 პროცენტით. (საკდესი).

ᲠᲔᲠᲘᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ („კომუნისტის“ კორ.). ქედის რაიონში სესხზე ხელის მოწერა 3 ივნისს საღამოს 10 საათისათვის დაამთავრა 13 და ბათუმის რაიონში — 3 კოლმეურნეობამ.

კოლმეურნეობებში გავრცელებული სესხის თანხიდან ნაღდ ფულად სალაროში შეტანილია 17 ათასი მანეთი.

○

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ, 5 ივნისი (საქდესი). სამი დღის განმავლობაში (4 ივნისს, საღამოს 8 საათისათვის) ახალ სესხზე ხელის მოწერის თანხამ 2.546.000 მანეთს მიაღწია. ეს თანხა 458 ათასი მანეთით აღემატება სესხის კამპანიის პირველი სამი დღის განმავლობაში შარშან მიღებულ ხელის მოწერის თანხას.

ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობებით, 4 ივნისს, ღამის 11 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელის მოწერის თანხა 162 მილიონ მანეთს შეადგენდა. აქედან ქალაქად—132.791 ათას მანეთს, სოფლად—29.209 ათას მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის მთელს რესპუბლიკაში სესხზე ხელი მოწერილი იყო 122.527 ათასი მანეთის რაოდენობით.

5 ივნისს, ღამის 10 საათისათვის, ქ. თბილისში 184.910 კაცს ხელი მოწერილი ჰქონდა 59.745.785 მანეთის სესხზე. ბერიას რაიონში ხელმოწერის თანხა 15.508.300 მანეთს შეადგენდა, სტალინის რაიონში—10.286.465 მანეთს, 26 კომისრის რაიონში—9.209.575 მანეთს, კიროვის რაიონში—6.600.110 მანეთს, ლენინის რაიონში—6.303.535 მანეთს, ორჯონიკიძის რაიონში—6.072.290 მანეთს, მოლოტოვის რაიონში—5.765.510 მანეთს. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის თბილისში სესხზე ხელი მოწერილი იყო 52.830 ათასი მანეთის რაოდენობით.

ახალ სესხზე ხელის მოწერა მთელს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს.

საკავშირო პროფსაბჭოსა და საკ. კ. კ. ᲙᲐᲨᲘ

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲤᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ-ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲘ

საკავშირო პროფსაბჭომ და საკ. კ. კ. ᲙᲐᲨᲘ გადაწყვეტეს ჩატარებულ იქნას 15-დან 30 ივნისამდე პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი (სირბილი დასერილ ადგილას). კროსი უნდა იქნეს მასობრივი სასპორტო ღონისძიება, რომელიც გვეჩვენებს მშრომელთა ფიზიკური მომზადების დარგში პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზიკულტურულ პრაგანიზაციათა მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს, მან ხელი უნდა შეუწყოს ფიზიკულტურის კოლექტივთა მუშაობის შემდგომ განმტკიცებას.

პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კროსის მონაწილეთა გულმოდგინე მომზადებასა და წრთვნას ისე, რომ არ დაუშვან შეჯიბრების შეცვლა საქმის გარეგანი მხრით, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ გარეგნულ ეფექტს.

კროსში მონაწილეობა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც საჭირო წრთვნა გაიარა.

კროსის მომზადება და ჩატარება დაკისრებული აქვთ საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ფიზკულტურის კოლექტივთა საბჭოებს, ფაბქარხანებსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს; კოლმეურნეობებში — კომკავშირულ ორგანიზაციებს; რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში — კომკავშირის კომიტეტებთან არსებულ კომისიებს, რომლებიც იქმნება პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტების ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან.

სასწავლებლთა მოსწავლეებს კროსში მონაწილეობა შეუძლიათ გამოცდების დამთავრების შემდეგ.

საკავშირო პროფსაბჭოს და საკ. ალკკ ᲙᲐᲨᲘ დაამტკიცეს კროსის დებულება.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ - ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

1. პროფკავშირულ-კომკავშირულ კროსს ამოცანად აქვს შრომელთა მასობრივი ჩაბმა ფიზიკური კულტურის მეცადინეობაში, მათ მიერ შმთ-ს კომპლექსის ნორმების ჩაბარება სირბილში.

2. კროსში მონაწილეობას შეუძლიათ მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნე ახალგაზრდობას, სასწავლებლებს, სკოლებს, სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებს მოსწავლეებს, რომლებმაც საჭირო წრთვნა გაიარეს და რომლებიც, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, ექიმის დასკვნით, შეიძლიათ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება.

შენიშვნა: 1. სასწავლებლების მოსწავლეები კროსში მონაწილეობენ გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

2. ის პირნი, რომელთაც სათანადო წრთვნა არ გაუვლიათ, კროსში მონაწილეად არ დაიშვებიან.

3. კროსი ტარდება შემდეგი პროგრამით:

ა) ᲒᲐᲑᲣᲭᲘᲜᲘ და ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

დისტანცია	ᲒᲐᲑᲣᲭᲘᲜᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ	ᲒᲐᲑᲣᲭᲘᲜᲘ ᲤᲠᲘᲐᲓᲘᲗ	ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ	ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲤᲠᲘᲐᲓᲘᲗ
500 მეტრი	—	—	2 წუთი 05 წამი	1 წუთი 55 წამი
1000 მეტრი	3 წუთი 45 წამი	3 წუთი 30 წამი	—	—

ბ) მამაკაცები და დედაკაცები:

დისტანცია	ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ 16—30 წლისა	31—40 წლისა	41 წლისა და უფროსი
500 მეტრი	—	—	—
1.000 მეტრი	3 წუთი 25 წამი	3 წუთი 35 წამი	3 წუთი 45 წამი
3.000 მეტრი	12 წუთი 15 წამი	12 წუთი 30 წამი	12 წუთი 45 წამი

დისტანცია	ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ 16—25 წლისა	26—32 წლისა	32 წლისა და უფროსი
500 მეტრი	1 წუთი 55 წამი	2 წუთი	2 წუთი 10 წამი
1.000 მეტრი	4 წუთი 20 წამი	4 წუთი 30 წამი	4 წუთი 50 წამი
3,000 მეტრი	—	—	—

4. შეჯიბრება სირბილში ტარდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის წესებისა და შმთ-ს კომპლექსის პირობების თანახმად.

5. კროსის შედეგების აღრიცხვა სწარმოებს კროსის მონაწილეთა რაოდენობისა და შესაბამისი ნორმების ჩამბარებელ პირთა რაოდენობის აბსოლუტური ციფრების მიხედვით.

შენიშვნა: კროსის მონაწილეებად თვლენიან მხოლოდ ის პირნი, რომლებმაც დისტანციები დაამთავრეს.

6. იმ სასპორტო საზოგადოებათა და პროფორგანიზაციათა განსაზღვრისათვის, რომლებმაც საუკეთესო შედეგები გამოიჩინეს შეჯიბრებაში, ყველა სასპორტო საზოგადოება და პროფორგანიზაციები, რომლებსაც სასპორტო საზოგადოებანი არა აქვთ, იყოფიან 6 ჯგუფად სამმოვარისა და სტრუქტურის მიხედვით. ყოველ ექვსთაგან ჯგუფში პირველობა განისაზღვრება დამოუკიდებლად.

7. საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური კომისიები პროფკავშირთა ᲙᲐᲨᲘ-ᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲝᲚᲝᲑᲘᲗ სასპორტო საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოები უდგენენ მათ საშედეგო მასალას კროსის დასკვნით, ᲗᲐᲜᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲗ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲗ.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐ ᲡᲐᲨᲣᲑᲐᲠᲘᲙᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

(ᲡᲐᲨᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲮ. ᲞᲐ. ᲒᲐ. ᲛᲘᲡᲐᲮᲐᲠᲗᲘᲗᲘᲡ)

5 ივნისს დაიწყო ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა ექესთვეან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლათა ხელმძღვანელები ყოველდღიურ დახმარებას უხდა უწევდნენ რაიონულ გაწვევა კომისიებს.

გაწვევის წარმატება დამოკიდებული იქნება იგრეთვე გასაწვევ პუნქტებში მისულ ახალგაზრდობის შორის პოლიტიკურ - მასობრივი და ახსნა-განმარტებითი შუშაობის დაყენებაზე. პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლების ხელმძღვანელებმა უნდა მოაწყონ გაწვეული ახალგაზრდობის შეხვედრა საუკეთესო კურსდამთავრებულებთან, გასაწვევ პუნქტებში გამართონ მოსწავლეთა ნაბრძოლ ბრიგადები, მოაწყონ ექსკურსიები სკოლებში, მიიღონ ზომები ახალგაზრდობაში საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სისტემის რაც შეიძლება ფართოდ პოპულარიზაციისათვის.

1 ივლისიდან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში იწყება ახლადმიღებულ მოსწავლეთა მეცადინეობა. საწარმოო სწავლებას დაწყებამდე დარჩენილ ვადაში საჭიროა საკმაოდ დამთავრდეს მთელი მუშაობა სიერთ საცხოვრებლების მოსამზადებლად და მოსაწყობად, საჭირო ინვენტარის, ტანსაცმლის, ქვეშაგების მოსამარაგებლად და სხვ.

საფაბრიკო- საქარხნო სწავლების სკოლების ხელმძღვანელნი ვალდებული არიან ახლავე იზრუნონ იმისათვის, რომ მეცადინეობის პირველ დღიდანვე მოაწყონ იენისში მიღებულ მოსწავლეთა ორარალური საწარმოო სწავლება.

გაწვევა (მობილიზაცია) შრომითი რეზერვების მომზადების ერთერთი პასუხსაგები ეტაპია. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, გამწვევ კომისიებს, ქალაქების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების შრომითი რეზერვების სამმართველოებს ყოველგვარი პირობა მოეპოვებათ იმისათვის, რომ ეს გაწვევა ჩაატარონ კიდევ უფრო ორგანიზებულად, პარტიისა და მთავრობის მითითებათა სრული შესაბამისობით. (საკდესი).

თათბირი ქსოვილების ასორტიმენტის საკითხებზე

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალო კომისარიატმა ამ დღეებში მოიწვია თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ცეკავშირის, „თბილკავშირის“, „თბილკავშირფინერმაღის“, „ქსოვილგალეიბის“ სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები და სპეციალისტები. თათბირი მიმდინარეობდა სახალხო კომისრის ამხ. ლ. რუხაძის კაბინეტში. აქვე მოწყობილი იყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს საწარმოებში დამზადებული 108 სახის აბრეშუმისა და 21 სახის შალისა და მაუდის ქსოვილები.

ქსოვილების ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდნენ აბრეშუმის მრეწველობის მთავარსამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხ. პატარაია და თბილისის მაუდ-კამკოლის ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელი ამხ. იაკობაშვილი. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში ქსოვილის ასორტიმენტში თითქმის მცირდება. არტიკული 72 და 233 წელს წარმოებიდან ამოიღეს, შეიძლება ეს ითქვაც იმით, რომ ორნაწილი აბრეშუმის ქსოვილები ვერ აკმაყოფილებდნენ მომხმარებლებს და დაწუნებულ იქნენ. მაგრამ მათ სამაგიეროდ, სხვა, ახალი სახის პროდუქციას რომ არ უშვებენ, ეს გაუმართლებელია. საქართველოს აბრეშუმის მრეწველობა ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც ვერ იცავს. პირველი ხარისხის პროდუქციია ნაცვლად 45 პროცენტისა გამოუშვა 41,7 პროცენტი. თბილისის მაუდ-კამკოლის ფაბრიკას შეუძლია უმაღლესი ხარისხის შალისა და მაუდის ქსოვილები გამოუშვას, რასაც გამოფენაზე წარმოდგენილი საქეთილო ნიმუშებიც მოწმობენ. მაგრამ, მიმდინარე წელს ფაბრიკა მასობრივ წარმოებაში უშვებს შედარებით დაბალი ხარისხის ქსოვილს, როგორც მომხმარებლებს არ მიაქვთ. მაგალითად, არტიკული 52 სავსებით უვარგისია, ამასთან მას ცუდად ღებავენ.

საინტერესო იყო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ჯიბუთამ, ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ჯიბლაძემ, „თბილკავშირის“ დირექტორმა ამხ. რინინბერგმა. საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამკერვალო მრეწველობის და მარაგ-გასაღების მთავარი სამმართველოების უფროსებმა ამხ. ბერკაძემ და ოგანეზოვმა, საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მამუჩიშვილმა, აბრეშუმისა და საფეიქრო მრეწველობის მთავარი სამმართველოების უფროსებმა ამხ. ლაფთაძემ და ოდიკაძემ და სხვ. — სულ 18 კაცმა.

კამათში გამოსული ამხანაგები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ საბჭოთა მომხმარებლების გაზრდილ მოთხოვნილებასა და მაღალ გემოვნებას. ახლა სავაჭრო მაღაზიებში ბლომად იშოვება აბრეშუმის, შალისა და მაუდის ქსოვილები, მაგრამ მოსახმარებელი ბევრ მთაგანს არ ყიდულობს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ფერი, სურათოვნობა ან სტრუქტურა არ მოსწონს. თათბირის მოხსენელთა უმრავლესობამ გამოფენაზე წარმოდგენილი აბრეშუმის ქსოვილნი ნიმუშების მხოლოდ მცირე ნაწილი მოიწონა. ქსოვილები ზედმეტად აკრეულებულია ნახატებით, ზოგიერთზე ფონი სრულებით არ მოსჩანს, თბილისსა და ქუთაისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკებში და სახ. კომისარიატის მთავარსამმართველოები ნაკლებად იცნობენ საქართველოს მომხმარებელთა გემოვნებას. როგორც თათბირზე ითქვა, საქართველოში უფრო მეტი მოთხოვნილება მუქი ფერის ქსოვილებზე. ფაბრიკები კი ძალიან აკრეულებენ ქსოვილებს უშვებენ. გამოფენაზე სრულებით არ იყო წარმოდგენილი აბრეშუმის ზოლებიანი ქსოვილები, როგორც ამბობენ, ეს ზოლებიანი ქსოვილები ძალიან დიდი მოთხოვნილებაა. თბილისის მაუდ-კამკოლის ფაბრიკა ძალიან დიდი რაოდენობით უშვებს შავ ქსოვილებს. მაგალითად მერინოსის შალს, სავაჭრო ორგანიზაციები კი ითხოვენ ლურჯს და სხვა ფერისას. თათბირზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ საწარმოში სპეციალურად არჩევენ ისეთ ფერს, რომელიც უკეთ ფარავს ნაქსოვის წუნს. ცალკეულ შემთხვევებში ძალიან ცუდია შეღებვის ხარისხი. ერთი სალბავით შეღებილი ქსოვილის ერთ ნაჭერზე ზოგჯერ სხვადასხვა ფერს შეამჩნევთ. გამოფენაზე ასეთების ნიმუშიც იყო წარმოდგენილი. ზოგიერთი ქსოვილი ერთი თვის ხმარების შემდეგ ხუნდება.

სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მსუბუქი მრეწველობის პასუხისმგებელმა მუშაკებმა თათბირზე კატეგორიულად მოითხოვეს შეწყვეტილ იქნას ისეთი ქსოვილების გამოშვება, რომლებსაც მომხმარებლები არ ყიდულობენ თან გაფფოხილეს სახ. კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები და საწარმოთა დირექტორები, რომ ამ ეტი პროდუქციას დღეიდან არ მიიღებენ არც მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და არც სავაჭრო ორგანიზაციები. ამხ. ჯიბლაძემ და რინინბერგმა დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ ფაბრიკებში ახალი სახის პროდუქციის მასობრივ წარმოებაში გაშვებამდე მისი ნიმუში დაეგზავნოს სავაჭრო ორგანიზაციებს, ან საცდელად, მცირე რაოდენობით გაშვებულ იქნას ბაზაზე, ანდა სპეციალურმა თათბირმა განიხილოს მისი მასობრივად გამოშვების საკითხი.

თათბირის მუშობა შეაჯამა საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ლ. რუხაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მომავალში ასეთი თათბირები მოწვეული იქნება ყოველ სეზონში. თათბირზე დაყენებულ საკითხებს განიხილავს სახალხო კომისარიატის კოლეგია და დასახავს სათანადო ღონისძიებებს.

ჭიათურის მარგანეცის ტრესმა მაღაჭარბებით შეასრულა მაისის გეგმა

ჭიათურა, 5 ივნისი (საქდესი). ძერეფსკელების ბომართეს სამხეოო ჭიათურის მარგანეცის ტრესტი დიდ წარმატებს აღწევს საწარმოო გეგმის შესრულებაში. მარგანეცის ტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის ამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების მაისის გეგმა.

დაგვირთვა-განგვირთვის ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შეასრულეს

ამერეკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის კოლექტივს შეჯიბრება აქვს სტალინის სახელობის რკინიგზელებთან. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ სადგურები, დეპოები, განყოფილებები, რომლებმაც გაანაღვლეს ბრძოლა გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამერეკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა ამ შეჯიბრებაში დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწია. 2 ივნისისათვის დატვირთვა-განტვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულ იქნა. სტალინის სახელობის რკინიგზასთან დაღებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნახევარი წლის გეგმა 5 ივნისისათვის უნდა შესრულებულიყო.

ამავამად გზაზე გაჩაღებულია ბრძოლა ყველა სახის ტვირთის შეხედვით ნახევარი წლის გეგმის ვადაზე შესრულებისათვის. (საქდესი).

ნარმაგებით შეეპაყრნოთ სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ტყიბული, „ოქტომბერი“ სკუ. კომუნისტიდან.

სოფელ ყანდაურის (გურჯაანის რაიონი) საკოლეტიერნო მინდვრებზე გაჩაღებულია მუშაობა. ამ სოფლის მილიონერი კოლმეურნეობა „ლენის მარჯვენა“ და ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ერთმანეთს ეჯიბრებიან მაღალი სტალინური მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში. სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ინიციატივით აღმოსავლეთ საქართველოში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ისინი პირველნი ჩაებნენ და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს.

კოლმეურნეობა „ლენის მარჯვენამ“ (თავმჯდომარე ამხ. აღ. ფხალაძე) საშემოდგომო და საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. დათესეს შემოდგომის ხორბალი 611 ჰექტარზე, ვაზაფხულის კულტურები 545 ჰექტარზე, აქედან სიმინდი 246 ჰექტარზე, მზესუმზირა — 200 ჰექტარზე, დანარჩენი ბოსტნეული, ბალი და სხვა კულტურები.

ამ კოლეტიერნობაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ყველა ბრიგადა და რგოლი. კოლმეურნეთა შორის ინდივიდუალური შეჯიბრებაც ფართოდ არის გაშლილი. ბრიგადებისა და რგოლებისათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები. ამის შედეგად კი მოსავლის დამუშავების მაღალი ხარისხითა და ვადაზე ადრე ატარებენ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებული წარმატება აქვს მე-6 ბრიგადას, რომლის ბრიგადირია ამხ. ვ. შენგელაძე. ბრიგადაში შექმნილია 8 რგოლი. მათზე მიმაგრებულია სათოხნი კულტურები, რომლებსაც ეარგად უვლიან. ამ ბრიგადის საწარმოო ნაკვეთებზე ფრიალებს კოლმეურნეობის გამგეობის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მოიპოვა მესამე ბრიგადასთან შეჯიბრებაში.

რგოლებს შორის მოწინავეა რაისაბეგოს დეპუტატის ამხ. მართა შენგელთის რგოლი. მისმა რგოლმა ყველა სათოხნი კულტურების დამუშავება ყველაზე ადრე და მაღალი ხარისხით დაამთავრა. ამ რგოლმა მოიპოვა გარდამავალი დროშა.

„ლენის მარჯვენასთან“ სოციშეჯიბრებაში ჩაბმული ლენინის სახელობის კოლმეურნეობა თავისი მაჩვენებლები როდი ჩამოუვარდება რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებს! საგაზაფხულო სათოხნი კულტურების დამუშავების გეგმის ვადაზე ადრე და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის კოლმეურნეობას გადაეცემული აქვს მაღალი დროშები. ამის შედეგად კი მოსავლის დამუშავების მაღალი ხარისხითა და ვადაზე ადრე ატარებენ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს მე-6 ბრიგადას, რომლის ბრიგადირია ამხ. ვ. შენგელაძე. ბრიგადაში შექმნილია 8 რგოლი. მათზე მიმაგრებულია სათოხნი კულტურები, რომლებსაც კარგად უვლიან. ამ ბრიგადის საწარმოო ნაკვეთებზე ფრიალებს კოლმეურნეობის გამგეობის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მოიპოვა მესამე ბრიგადასთან შეჯიბრებაში.

რგოლებს შორის მოწინავეა რაისაბეგოს დეპუტატის ამხ. მართა შენგელთის რგოლი. მისმა რგოლმა ყველა სათოხნი კულტურების დამუშავება ყველაზე ადრე და მაღალი ხარისხით დაამთავრა. ამ რგოლმა მოიპოვა გარდამავალი დროშა.

„ლენის მარჯვენასთან“ სოციშეჯიბრებაში ჩაბმული ლენინის სახელობის კოლმეურნეობა თავისი მაჩვენებლები როდი ჩამოუვარდება რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებს! საგაზაფხულო სათოხნი კულტურების დამუშავების გეგმის ვადაზე ადრე და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის კოლმეურნეობას გადაეცემული აქვს რაჯამიწგანის გარდამავალი დროშა. რგოლური სისტემა დანერგილი აქვთ პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის ცხონები დადგენილების საფუძველზე.

ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის აღების ულანაკარგოდ და ვადაზე ადრე დასამთავრებლად. საკომბაინე ნაკვეთების ნაპირები გასწმენდილ ჯაგარეულისაგან, შემოფიბეს ბალახები, კომბაინების მომსახურებისათვის გამოყოფილი ჰყავთ ტრანსპორტი და მუშახელი.

ბრიგადებიდან შეჯიბრებაში გამარჯვებულია და წინ მიდის V ბრიგადა (ბრიგადირი ვ. ობოლაშვილი), რომელსაც მიღებული აქვს კოლმეურნეობის გარდამავალი დროშა.

ამ კოლმეურნეობის მოწინავეი ადამიანები ნ. ამესაძე, ვ. ვარდიაშვილი, ს. ქიტესაშვილი, ა. ზორბალაძე და სხვები ყოველდღიურად ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში საქმეში. ექვი არ არის, რომ მოპოვებულ გარდამავალ დროშას ისინი შეინარჩუნებენ მოსავლის აღების წარმატებით ჩატარებაშიც.

არ. კოკილაშვილი

ვალდებულებას ნარმაგებით ვანაღდებთ

მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოწოდების სამასპეხოდ გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობა ჩაბმულია სოციშეჯიბრებაში. მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ცატრუსების საუკეთესოდ მოვლისა და მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. მეურნეობის კოლქმეიტ სოციშეჯიბრებაში. გამოწეული ჰყავს მახარაძის რაიონის ფრუკის საბჭოთა მეურნეობა.

მეურნეობის კოლქმეიტები წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ამ გაზაფხულზე მეურნეობას მანდარინი უნდა გაეშენებინა 5 ჰექტარი, ფორთოხალი, — 2, ბამბეული — 5 და ვენახი —1 ჰექტარი. ყველა ეს დავალება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

სოციშეჯიბრების ხელშეკრულებით ზეთოოვანი ეფექსირი უნდა შეწამლულიყო 46.559 ძირი ციტრუსი, ფაქტიურად ვადაზე შეწამლულ იქნა 55.020 ძირი. დაწესებულ ვადაზე ჩატარდა აგრეთვე ციტრუსოვან მცენარეთა ირგვლივ ნიადაგის ბარვა და მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა. ციტრუსების პირველი გათოხნა, აზოტის ნახევრი ფოსფორიანი და სოკოოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბოროვა 91.589 ძირზე ვადამდე 5 დღით ადრე დამთავრდა.

ნაკისრ ვალდებულებებს კარგად ასრულებენ პირველი და მეოთხე აგრონომიები (აგრონომები — გეგეჭკორი და კოკავა). ამ რაიონებმა ციტრუსების ყველა სახის სამუშაო საუკეთესო მაჩვენებლებით შეასრულეს. მათ საკმაო რაოდენობით დამზადებული აქვთ აგრეთვე ნიადაგის დასამუერი თივა, გვიმრა, ქოლალდი და სხვ., ამ მასალებით აქ მცენარეებს შეუქმნიან ნორმალურ პირობებს ნაყოფის შენარჩუნებისათვის. აგრონომმა გეგეჭკორმა იკისრა მოწინავე აგროტექნიკის დანერგვით თვითეულ ძირ სრულმოსავლიან ხეზე უზრუნველყოს 850 ცალი ნაყოფის მიღება და სახელმწიფოს ჩააბაროს 9 მილიონი ცალი პირველი ხარისხის ნაყოფი.

სოციშეჯიბრებაში ჩაბმული მუშები: ვაილო ქლიჩაკი, დამატი ყორნეიაკი, ბ. გასაშვილი, ვლადიმერ კორობკა, გრიგოლ მონსაძეი, ნიკოლოზ ოტოფეკი, სილინასტრო ტკაჩენკო და სხვები საუკეთესოდ უვლიან ბაოზე მიმაგრებულ მანდარინის ნაკვეთებს. ისინი დღიურ დავალებებს 300-320 პროცენტით ასრულებენ.

წესიერი მოვლის შედეგად ციტრუსების მოსავალს კარგი პირი უნანს. კოხორის საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი პირობის იძლევა წელს სახელმწიფოს მიცეს 15 მილიონი ცალი მანდარინი, მიიღოს თვითეულ ხეზე საშუალოდ 650 ცალი ნაყოფი.

დ. ფაილოძე

კოხორის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ლი მმპტრესტის მბრნჯაურის (ბათუმის რაიონი) საბჭოთა მეურნეობის სტაბანოელები ალ. ეასაძე, რომელიც დღეში 80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჭკრეფს; ოჩხამურის (ტყიბულთის რაიონი) სტალინის სახელობის ორდენოსანი სა ბჭოთა მეურნეობის სტანოოელები (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ლისოფა, ბ. ვალიეევა, მ. სტიფაკინა და ა. კოვშოვა, რომლებიც ჩაის ფოთლის კრეფის ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო შ. ამიდაძისა.

„ბოინგ-17“ 4-მოტორიან ყუმბარმფენთა ნარმოების გაღიღების გეგმა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 4 ივნისი (საკდესი). რეიტერის საგენტოს მიერ სიეტლიდან („შშ) მიღებული ცნობით, ამერიკის საავიაციო ფირმამ „ბოინგ ეირკრაფტ კომპანიმ“ განაცხადა, რომ მან; სამხედრო სამინისტროს თხოვნით, შეიმუშავა შორი მოქმედების 4-მოტორიან ყუმბარმფენთა—„ბოინგ-17“-ის მზარდი მოთხოვნილების უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის თანახმად, ამერიკის 3 საავიაციო ფირმა: „ბოინგ ეირკრაფტ კომპანია“, „ვეგა ეირპლანინ კომპანი“ და „დუგლას ეირკრაფტ კომპანი“, წარმოების დასაჩქარებლად ფირმები ერთმანეთს მიაწოდებენ ცალკეულ ნაწილებს. გარდა ამისა, ცალკეული ნაწილებით ქარხნებს მოამარაგებს ზოგიერთი სხვა საავიაციო ფირმა

ავიამოგზაურების ნარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 4 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს ცნობით, „იუნაიტედ ეირკრაფტის“ კორპორაციის (რომელშიც შედის მოტოსამშენებელი კომპანია „პრატ-უიტნი“) თავმჯდომარემ რენტმელერმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კომპანია „პრატ-უიტნი“ თვეში უშვებს 1.400 ათასი ცხენძალის საერთო სიმძლავრის მოტორებს. წლის დამლევამდე მოტორების ყოველთვიური გამოშვება 20 მილიონამდე ცხენძალით გაიზრდება. კომპანია „კერტის რაიტი“ უშვებს დაახლოებით იმდენ მოტორს, რამდენსაც „პრატ-უიტნი“ საავტომობილო კომპანიები „ფორდი“ და „ჯენერალ მოტორსი“ მომავალი წლის დამდეგისათვის ყოველთვიურად გამოუშვებენ „პრატ-უიტნის“ 2,5 მილიონ-ცხენძალის საერთო სიმძლავრის მოტორებს.

ავიაციის ნავთის კომპანიის თავმჯდომარის განცხადება

ნიუ-იორკი, 4 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს ცნობით, ნავთის კომპანიის „სტანდარდ ოილ კომპანი ოფ ნიუ-ჯერსის“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჰოლანდიის ინდოეთის ამ კომპანიის ფილიალის საწარმოები დაახლოებით ნახევარი წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ჰოლანდიის ინდოეთის ნებართვით დასთანხმდნენ განსაზღვრულ დროის განმავლობაში იაპონიას დამატებით მიჰყიდონ ნავთი და ნავთის პროდუქტები, უმაღლესი ხარისხის საავიაციო საწვავის გამოკლებით. იაპონიას ჯერ კიდევ ან მიუღია შეთანხმებით გათვალისწინებული მთელი ნავთი და ნავთის პროდუქტები.

მთავრობის კრიზისი ეგვიპტეში

ნიუ-იორკი, 4 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტო იუწყება, ეგვიპტის პრემიერმა ჰასენ სირი-ფაშამ მეფე ფარუკს განცხადება მისცა გადადგომის შესახებ, ფარუკმა, რომ მეფე მას შესთავაზებს ახალი მთავრობის შედგენას. გამოსთქვამენ აზრს, რომ ახალ მთავრობაში შეიყვანენ საადვოკატო პარტიის წარმომადგენელნი, რომელიც დღემდე არ იწონებდნენ ქეფლი მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

ვაშინგტონში ვანმარტებენ, ეგვიპტის ახალ მთავრობაში შესვლაზე

ნიუ-იორკი, 4 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტო ეგვიპტიდან იუწყება, რომ, მიუხედავად ჰოსენ სირი-ფაშის წინადადებისა, ვაფდისტებმა უარი განაცხადეს ახალ მთავრობაში შესვლაზე.

ვიქტორ მეორის გარდაცვალება

ბერლინი, 4 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ დღეს დორნში (ჰოლანდია) გარდაიცვალა გერმანიის ყოფილი იმპერატორი ვილჰელმ მეორე.

ევროპაზე ბომბების ზვავი ინგლისიდან

ლონდონი, 4 ივნისი (საკდესი). „ლეონ ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ ნორმირებულ იქნება ქვანახშირის მიცემა იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. ინგლისის დამლევს კიდევ უფრო შეუმცირებენ ბენზინის მიცემას ავტომანქანების მფლობელებს.

თვითმბობი სათბუნა

ჟურნალი „ეკმისტრი ენდ ინდუსტრის“ ცნობით, ინგლისში ავადმყოფთა სამკურნალოდ იყენებენ სათბურებს, რომლებიც არ საჭიროებენ გათბობის გარეგან წყაროს.

